

სს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების მიზნით.

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:

1.1 ქონების ტიპი: სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შემდეგი მონაცემებით:

1.2 საკადასტრო კოდი: 32.03.49.581

1.3 მისამართი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარა.

1.4 ფართობი: 66 837 კვ.მ.

1.5 შენობა-ნაგებობა: 7 ერთეული შენობა, შემდეგი განაშენიანების ფართობით:

- N1 (2 სართულიანი) - 383 კვ.მ.
- N2 (1 სართულიანი) - 283 კვ.მ.
- N3 (1 სართულიანი, ამორტიზირებული, სახურავის გარეშე) - 11 კვ.მ.
- N4 (2 სართულიანი) - 19 კვ.მ.
- N5 (1 სართულიანი) - 157 კვ.მ.
- N6 (1 სართულიანი) - 99 კვ.მ.
- N7 (1 სართულიანი, ამორტიზირებული, სახურავის გარეშე) - 13 კვ.მ.
- 7 ერთეული უმოქმედო ანძა;
- ღობე. სიგრძე 929 მეტრი.
- მოასფალტებული ტერიტორია 3180 კვ.მ.

* უძრავ ქონებაზე შესაძლებელია არსებობდეს სილიკო მანგანუმის ქერქული ნარჩენის მარაგი;

1.7 საწყისი გასაყიდი ფასი - 470 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

1.8 ბიჯი - 20 000 ლარი;

1.9 „ბე“ - 50 000 ლარი;

2. აუქციონის არსებითი პირობები:

2.1 წინამდებარე აუქციონის საფუძველზე გამარჯვებული პირი შეიძენს უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს - საკ. კოდი - 32.03.49.581 (შემდგომში „უძრავი ქონება“);

2.2 ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ბე“.

2.3 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს აუქციონის შედეგად დაფიქსირებული უძრავი ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი ჩაითვლება ჩაშლილად და მას არ დაუბრუნდება გადახდილი „ბე“.

2.4 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება უძრავი ქონების სრული ღირებულების გადახდიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, არსებითად დანართის სახით წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

2.5 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული (შემდგომში „მყიდველი“) ვალდებულია გასწიოს „უძრავი ქონების“ ნასყიდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი (მათ შორის სანოტარო საზღაური, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „რეესტრი“) რეგისტრაციის საფასური.

2.6 „უძრავი ქონების“ „მყიდველის“ სახელზე „რეესტრში“ რეგისტრაციისთანავე მასზე სრულად გადადის „უძრავი ქონებიდან“ გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება.

2.7 ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე.

3. განსაკუთრებული პირობები:

3.1 „უძრავი ქონების“ ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება ლარში, აუქციონის შედეგად დადგენილი ნასყიდობის ღირებულების გათვალისწინებით;

3.2 „ბე“-ს და „უძრავი ქონების“ ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვის გზით:

საბანკო რეკვიზიტები:

მიმღების ბანკი: ს/ს „თი ბი სი“ ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი,

ბანკის კოდი: 220101850

საიდენტიფიკაციო კოდი №202886010

ანგარიშის ნომერი ა/ა №59136020100001, ეროვნულ ვალუტაში.

აშშ დოლარში: Intermediary Bank: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA, SWIFT: CITIUS33, ABA: 021000089

Beneficiarys bank : HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22;

JSC”TBC BANK ” , Marjanishvili Branch; SWIFT: TBCBGE22850

Name of beneficiary: JSC”GEORGIAN RAILWAY”

Bens account: GE11TB1100000112070112.

4. საინვესტიციო ვალდებულება:

4.1 „უძრავი ქონების“ მყიდველმა უნდა განახორციელოს შემდეგი საინვესტიციო ვალდებულება:

4.1.1 „უძრავ ქონებაზე“ 3 წლის განმავლობაში განახორციელდეს ინვესტიცია, რომლის დაახლოებითი მოცულობა იქნება 40 000 000 ლარი;

4.1.2 განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, „უძრავ ქონებაზე“ საკუთრების უფლების გადასვლიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში, „უძრავ ქონებაზე“ შექმნას სამუშაო ადგილები და უზრუნველყოს არანაკლებ 300 საქართველოს მოქალაქის დასაქმება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

4.1.3 განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, „უძრავ ქონებაზე“ საკუთრების უფლების გადასვლიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში, დაიწყოს და 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ტვირთის გადაზიდვა სს „საქართველოს რკინიგზის“ ან/და მის მიერ მითითებული ნებისმიერი იურიდიული პირის მეშვეობით, რომლის მოცულობაც წელიწადში იქნება არანაკლებ 80 000 ტონა;

4.1.4 ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განახორციელოს გეოლოგიური კვლევა მიწის ნაკვეთზე სილიკო მანგანუმის ქერქული ნარჩენის მარაგის არსებობის დადგენის მიზნით და აღნიშნული გეოლოგიური დასკვნა წარუდგინოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და სს საქართველოს რკინიგზას;

4.1.5 შეასრულოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, შესაბამისი გეოლოგიური დასკვნის წარდგენის შედეგად განსაზღვრული ყველა ვალდებულება;

4.2 4.1.1 და 4.1.2 პუნქტებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, „მყიდველი“ ვალდებულია, „გამყიდველს“ წარუდგინოს Rs-ge-ზე გამოქვეყნებული პირველი კატეგორიის აუდიტორული კომპანიის მიერ სათანადოდ მომზადებული დასკვნა. აუდიტორული დასკვნის „გამყიდველისადმი“ წარდგენის ვალდებულება „მყიდველს“ ეკისრება პერიოდულად, კონკრეტული ვალდებულების შესრულების თარიღის დადგომიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ამასთანავე, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის ყველა საჭირო ხარჯს გაიღებს „მყიდველი“.

4.3 4.1.3 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულება დადასტურებულ უნდა იქნას გადაზიდვის განხორციელების ნებისმიერი დამადასტურებელი დოკუმენტის გამყიდველისათვის წარმოდგენით ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს, არაუგვიანეს ყოველი წლის 31 დეკემბრისა;

4.4 შესაბამისი საინვესტიციო ვალდებულების შესრულება გამყიდველის მიერ დადასტურდება წერილობით 4.2 და 4.3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის

უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში (რაშიც იგულისხმება წერილობითი დადასტურების გაუცემლობა მათ შორის შესაბამისი მიზეზების მითითების გარეშე) დადასტურება ითვლება გამყიდველის მიერ გაცემულად;

5 სხვა ვალდებულებები:

- 5.1 უძრავ ქონებაზე რაიმე შენობა-ნაგებობის განთავსების შემთხვევაში, უძრავი ქონების მყიდველი ვალდებულია შესაბამისი პროექტი წინასწარ შეათანხმოს სს „საქართველოს რკინიგზასთან“
- 5.2 უძრავ ქონებაზე საქმიანობის პროცესში, მყიდველი ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი, ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულაციების, აგრეთვე სხვა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნები.

შენიშვნა:

1. საინვესტიციო ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, „გამყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, „მყიდველს“ ეკრძალება ნასყიდობის საგნის სრულად და/ან ნაწილობრივ განკარგვა (მათ შორის გაყიდვა და/ან გაჩუქება ან/და რაიმე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით ან/და სხვა რაიმე სანივთო-სამართლებრივი უფლებით დატვირთვა (უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა)), აღნიშნული შეზღუდვები დარეგისტრირდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის შესაბამის გრაფაში.
 2. 4.1.4 და 4.1.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე, „მყიდველს“ ეკრძალება ნასყიდობის საგანზე ნებისმიერი სახის მიწის და სამშენებლო სამუშაოების შესრულება.
 3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ არ შესრულდება საინვესტიციო ვალდებულების ერთ-ერთი პირობა მაინც, გამყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგისტრაციის გაუქმებისა და ნასყიდობის საგნის ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნების თაობაზე. ამასთან, ნასყიდობის საგანზე ხელშეკრულების შესაბამისად რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმება არ წარმოშობს „საქართველოს რკინიგზის“ ვალდებულებას შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის მიერ მისთვის გადახდილი ნასყიდობის ფასის დაბრუნების თაობაზე.
 4. იმ შემთხვევაში, თუკი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაბამისი უძრავი ქონების/“ნასყიდობის საგნის“ ამონაწერში არ დაფიქსირდება საინვესტიციო ვალდებულებები და წინამდებარე აუქციონის პირობებით განსაზღვრული აკრძალვები, „გამყიდველი“ უფლებამოსილია მიმართოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების და წინამდებარე აუქციონის პირობებით განსაზღვრული აკრძალვების რეგისტრაციის მოთხოვნით მყიდველის ხარჯით;
- „უძრავი ქონების“ და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „საქართველოს რკინიგზაში“. მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. ტელ 599 33 44 46.